ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №36

24 მაისი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
1.სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - გივი ჩხარტიშვილი;
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - ვლადიმერ ბოჟაძე.
3. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - ანა კილაძე.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის - განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის** მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის I - ლი კვარტალი).

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.** კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს ირაკლი გვილავას.

ირაკლი გვილავამ, 2024 წლის I-ლი კვარტლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ და მიმდინარე საგანმანათლებლო, კულტურულ და მსხვილ ინფრასტრუქტურულ, სპორტულ პროექტებზე ისაუბრა, რომლის მიერ მოწოდებული

ინფორმაციით დღემდე მიმდინარეობს ორი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის სამშენებლო სამუშაოები დიდი დიღმისა და ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის სახით. ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრტთან მიმართებით განმარტა, რომ კონტრაქტორთან მიმდინარეობს გარკვეული ტიპის მოლაპარაკებები, რათა სამუშაოების განხორციელება წარიმართოს გეგმის შესაბამისად. აღნიშნული სპორტული ცენტრის გახსნა მიმდინარე წლის ბოლოსთვის იგეგმება. რაც შეეხება დიდი დიღმის მულტიფუნქციურ ცენტრს, მიმდინარეობს შიდა სამუშაოები და მიმდინარე წლის სექტემბერში იგეგმება ცენტრის გახსნა.

ირაკლი გვილავას განცხადებით მიმდინარე წელს დასრულდა სკეიტ პარკებიც დიდ დიღომსა და ვაზისუბანში. ამასთანავე, დასრულდა გლდანის საცურაო აუზის სარემონტო სამუშაოები. იგეგმება თემქის სპორტ კომპლექსის რეაბილიტაცია.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პადელის სათამაშო მოედნის გახსნა ისნის რაიონში. სამსახურის მიზანია აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყოს სივრცე სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის, რის შედეგადაც მივიღებთ სპორტულ პარკს, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს სხვადასხვა სპორტის სახეობებს, რაც არაერთ განვითარებულ ქვეყანაშია აპრობირებული.

რაც შეეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და მის შესაბამის სამგორის ფილიალს, მიმდინარეობს რეაბილიტაცია, რომლის დასრულებაც ივნისის თვეში იგეგმება, შესაბამისად მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალი განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს: გივი ჩხარტიშვილმა და ზურაბ ჩიკვილაძემ.

გივი ჩხარტიშვილმა მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს. მისი განცხადებით, ჯანსაღი გარემოს შექმნა წინაპირობაა ჯანსაღი თაობის აღზრდისთვის, რასაც სამსახური აქტიურად აკეთებს.

ზურაბ ჩიკვილაძემ გამოთქვა სურვილი ჩუღურეთის რაიონში მულტიფუნქციური ცენტრის აშენებასთან დაკავშირებით და მომხსენებელს შესთავაზა გარკვეული ტერიტორიები, სადაც შესაძლებელია განთავსდეს იგი.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის I - ლი კვარტალი) წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე